



კაპადოკიელი. ეგ არის დედოფალი იროდია? აგერ, შავი მარგალიტით მოკედლილი მიტრა რომ ხურავს და თმა ცისფრად აქვს შეღებილი?

პირვ. მეომ. ჰო, ის არის იროდია, მეუღლე მმართველისა.

მეორე მეომ მმართველს ძლიერ უყვარს ღვინო. სამნაირი ღვინო აქვს პირველი — სამოთრაციის კუნძულიდან არის მოტანილი, მეწამული, ვითა კეისრის წამოსასხამი!


კაპადოკიელი. მე არასოდეს არ მინახავს კეისარი.

მეორე მეომ. მეორე—ქალაქ კვიპროსიდან, ყვითელი, როგორც ოქრო.

კაპადოკიელი. ძლიერ მიყვარს ოქრო!

მეორე მეომ. მესამე კი სიცილიის ღვინოა, წითელი, ვითა სისხლი.

ნუბიელი. ჩემი ქვეყნის ღმერთებს ძლიერ უყვართ სისხლი. წელიწადში ორჯერ კაბუკი და ქალწული უნდა შეეწიროთ მსხვერპლად. ორმოცდაათი კაბუკი და ასი ქალი. მაგრამ, ეტყობა, საკმაოდ არასოდეს არ შეგვიწირავს, ვინა-



ა. ბ. მახინკვი,

ტფ. ქალაქის თავად ნამყოფი, რომელმაც ქალაქ ტფილისს დაუტოვა ასი ათას მანეთზე მეტი. გარდაიცვალა პარიზში, საიდანაც ტფილიში მოასვენეს და ვანქის ტაძრის გალავანში დაკრძალეს 27 ოქტომბერს.

იდან რისხვის თვალით გვიყურებენ ისევ...

კაპადოკიელი. ჩემს ქვეყანაში აღარ არიან ღმერთები, — რომაელებმა განაძევეს. ამბობენ, მთაში გაიხიზნნო. მაგრამ მე არა მჯერა. სამი ღამე გავათიე მთაში, ყველგან ვეძიე, მაგრამ ვერსად ვპოვე. ბოლოს სახელსაც ვეძახდი ყველას, მაგრამ არ გამოცხადნენ. მგონია, დაიხოცნენ!

პირვ. მეომ. იუდეველნი თავყანსა სცემენ ისეთს ღმერთს, რომლის დანახვაც შეუძლებელია.

კაპადოკიელი. ეგ ვერ გამიგია.

პირვ. მეომ. საზოგადოდ, მათ სწამთ მარტოოდენ ის, რის ნახვა სრულიად შეუძლებელია.

კაპადოკიელი. სასაცილოა სწორედ!

ხმა იოქანანისა. მე მეორე მომყვება, ჩემზე უძლიერე-

სი... მისი ქალამნის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ! როცა ის მოვა, უდაბნო გაიხარებს: აყვავდება იგი, ვითა ზამბახი... უსინათლონი დღეს იხილავენ და სმენა დახშულთ სმენა აეხსნებათ... ახლად შობილი ვეშაბთა ბუნავს ხელს დაადებს და ფაფარში ხელმოკიდებული ლომებს გაატარებს!

მეორე მეომ. დააჩუმეთ! ყოველთვის სისულელეს როტავს!

პირვ. მეომ. არა, იგი წმიდა კაცია... გარდა ამისა, მშვიდია. საკვებს მე ვუზიდავ ყოველ დღე. მადლობას მიძღვნის ხოლმე.

კაპადოკიელი. ვინ არის?

პირვ. მეომ. წინასწარმეტყველია.

კაპადოკიელი. რა ჰქვია?

პირვ. მეომ. იოქანანი.

კაპადოკიელი. სადაურია?

პირვე. მეომ. უდაბნოდან არის მოსული. იქ კალით და გარეული თაფლით იკვებებოდა. აქლემის მატყლის სამოსელი ჰქონდა და წელზე მეში ეკრა. საზარელი სანახავი იყო. უკან მრავალრიცხოვანი ბრბო მოსდევდა. მოწაფეებიც კი ჰყავდა.

კაპადოკიელი. რაზე ლაპარაკობს?

პირვ. მეომარი. ჩვენ არასოდეს არ ვიცით. ზოგჯერ საზარელს ამბებს მოჰყვება ხოლმე, მაგრამ გაგება მისი შეუძლებელია!

კაპადოკიელი. შეიძლება მისი ნახვა?

პირვ. მეომარი. არა. მმართველმა აკრძალა.

ახალგაზ. სირიელი. სახეზე მარაო მიიფარა მეფის ასულმა. ბუღისაკენ მიშურებულ მტრედისავით მოძრაობს მისი ხელები. თეთრს პეპელასა ჰგავს მისი ხელები. სავსებით თეთრ პეპელას ჰგავს!...

იროდიას ფარეში. რა გესაქმებათ მაგასთან? რად შეჰყურებთ ვერ? ნუ უყურებთ!.. უბედურება დატრიალდება!..

კაპადოკიელი. (ჭისკენ უთათებს) რა საკვირველი საპრობილეა!

მეორე მეომ. ძველი ჰა არის ეგ!

კაპადოკიელი. ძველი ჰა! მაშ მანუინარი იქნება უსათუოდ!

მეორე მეომ. არა. აი, მაგალითად, მმართველის ძმა, უფროსი ძმა მისი, პირველი ქმარი დედოფლის იროდიასი, მთელი თორმეტი წელიწადი იყო შიგ დამწყვდეული. არც მომკვდარა. ბოლოს დაახრჩეს!

კაპადოკიელი. დაახრჩესო?! ვინ გაბედა მაგის ჩადენა?

მეორე მეომ. (ჯალათზე მიუთათებს) აი, იმან, — ნაამანმა!

კაპადოკიელი. მერე? არ ეშინოდა?

მეორე მეომ. არა. მმართველმა თავისი ბეჭედი მისცა.

კაპადოკიელი. რა ბეჭედი?

მეორე მეომ. ბეჭედი სიკვდილისა. და ამიტომაც არ ეშინოდა!

კაპადოკიელი. მეფის დახრჩობა?! საზარელია მაინც!

პირვე. მეომ. რატომ? მეფესაც ისეთივე ყელი აქვს, როგორც ყველა ადამიანს.

კაპადოკიელი. მე მაინც საშინელი მგონია!

ახალგაზ. სირიელი. მეფის ასული ფეხზე დგება! სუფრას შორდება... მოწყენილი სახე აქვს... ა! აქეთ მოდის. დიახ, ჩვენკენ წამოვიდა... რა რიგ ფერმკრთალია იგი! არასოდეს არ დამინახავს ასე ფერმკრთალი!

იროდიას ფარეში. ნუ უყურებთ! გთხოვთ, ნუ უყურებთ იმას!

ახალგაზ. სირიელი. იგი მტრედსა ჰგავს, გზა აბნეულსა... იგი ნიავით შერხეული ნარგისია თითქო... ვერცხლის ყვავილსა ჰგავს!... (შემოდის სალომე).

სალომე. იქ ველარ დავრჩები. არ შემოდლიან იქ ყოფნა. აცახცახებულ წამწამების ქვეშიდან რად მიყურებს მმართველი თავის თხუნელსებურ თვალებით?! საკვირველია, ქმარი ჩემი დედისა ასე მიყურებდეს!? ვერ გამიგია, რას უნდა მოასწავდეს ესა... თუმცა... ჰო, ვიცი, ვიცი!

ახალგაზ. სირიელი. ნადიმი მიატოვეთ, ასულო მეფისაო?

სალომე. რა სუფთა ჰაერია აქ! აქ შეიძლება სუნთქვა! იქ შიგნით იერუსალიმიდან მოსული იუდეველნი არიან, რომელნიც თავიანთ სულელურ ჩვეულებათა შესახებ კამათობენ; არიან: ბარბაროსნიც, რომელნიც განუწყვეტლივ სმენ და ძირს ფილაქანზე აქცევენ ღვინოს; თვალე მემოვლებული ფერწასმული და რკალივით ხუჭუჭთმიანი ბერძნები სმირნიდან; ეგვიპტელნი, ჩუმი და გაიძვერა ხალხი, თავისანთ მიხაკის ფერ წამოსახსამებით; მოსულან ტლანქი, მოუქნელი რომაელნიც მუდმივი ლანძღვით შემკულნი. ოჰ, რა რიგ მეზიზღებიან რომაელნი! თავისთავად გაუგებარნი, ისინი წარჩინებულებაზე სდებენ თავს...

ახალგაზ. სირიელი. ხომ არ დაბრძანდებით, მეფის ასულო?

იროდიას ფარეში. რა საჭიროა იმასთან ლაპარაკი? რად უცქერით ასე? ო, უბედურება მოხდება!..

სალომე. რა რიგ საამური სანახავია მთვარე! ის პატარა ფულსა ჰგავს. თითქო სულ პაწაწინა ვერცხლის ყვავილიაო. ცივია და უმანკო ისა,—ის მთვარე... იგი ქალწულია, დარწმუნებული ვარ! სიკვლეუცე ქალწულისა აქვს... დიახ, ქალწულია, არასოდეს არ წაუბილწავს თავისი თავი... სხვა ქალ-ღმერთებევით როდი მისცემია იგი მამაკაცს ოდესმე...

ხმა იოქანან. მოვიდა იგი, უფალი! მოვიდა ძე კაცისა! დევები მდინარეში იმალებიან, ალებმა დასტოვეს მდინარეთა ძირი და ტყის ფოთლებში იმალებიან!..

სალომე. ასე ვინა ყვირის?

მეორე მეომარი. წინასწარმეტყველია, მეფის ასულო!

სალომე. აა, წინასწარმეტყველი!? ის, რომლისაც ასე ეშინიან მმართველს?

მეორე მეომარი. ჩვენ ეგ არ ვიცი, მეფის ასულო! ის — წინასწარმეტყველი იოქანანია!

ახალგ. სირიელი. თუ ინებებთ, ესლავე ვუბრძანებ, ტახტრევანი მოგართვან, მეფის ასულო? ბაღში ყოფნა საამურია.

სალომე. საშინელებას ამბობს იგი დედაჩემზე, არა?

მეორე მეომარი. ჩვენ არა გვესმის-რა, იგი რას ამბობს, მეფის ასულო!

სალომე. დიახ, საშინელებას ამბობს იგი იმის შესახებ!

მონა. მეფის ასულო, ნადიმზე დაბრუნებას გთხოვთ მმართველი.

სალომე. აღარ დავბრუნდები!

ახალგ. სირიელი. მომიტევეთ, მეფის ასულო, მაგრამ თუ არ დაბრუნდით, უბედურება მოხდება...

სალომე. ის წინასწარმეტყველი მოხუცია?

ახალგ. სირიელი. დაბრუნება სჯობს, ასულო მეფისაო, ნება მიბოძეთ, თან გაეხლოთ!

სალომე. ის წინასწარმეტყველი მოხუცია?

პირველი მეომარი. არა, მეფის ასულო, სულ კაბუკია.

მეორე მეომარი. არავინ იცის. ილია არისო, ასე ამბობენ.

სალომე. ილია ვინ არის?

მეორე მეომარი. ძველთა ძველი წინასწარმეტყველია ამ ქვეყნისა, მეფის ასულო.

მონა. რა პასუხი გადავცე მმართველს მეფის ასულისაგან?

ხმა იოქანან. ნუ გიხარებ, ქვეყანავ პალესტინისავ, თითქო იმისი შოლტი, რომელიც ხშირად გაგამწვავებდა, გაწყვეტილიყოს! ვინაიდან გველის მოდგმიდან გაძლიერდება ბასილისკოს და მისი შთამომავალი ფრინველთ გააწყობს!

სალომე. რა საოცარი ხმა! ოჰ, ნეტავი იმასთან მალაპარაკა!

პირველი მეომარი. ეგ შეუძლებელია, მეფის ასულო! მმართველს არა სურს, ვინმემ ხმა გასცეს. მღვდელ მთავარსაც კი აუკრძალა მასთან ლაპარაკი.

სალომე. მასთან ლაპარაკი მსურს!

პირველი მეომარი. შეუძლებელია, მეფის ასულო.

სალომე. მე მსურს!

ახალგ. სირიელი. სჯობს, ისევ ნადიმს დაუბრუნდეთ, მეფის ასულო.

სალომე. ამოიყვანეთ ის წინასწარმეტყველი!

პირველი მეომარი. არ შეგვიძლიან, ასულო მეფისაო.

სალომე. (ჯას მიუახლოვდება და შავ ჩახედავს) რა რიგ ბნელა! შესაზარი უნდა იყოს იქ, ბნელს ჯურღმულში ჯდომა!? სამარესა ჰგავს... (შემაჩრთ) არ გესმით: ამოიყვანეთ მეთქი! მე იმისი ნახვა მსურს!..

მეორე მეომარი. გემუდარებით, მეფის ასულო, მაგას ნუ მოითხოვთ.

სალომე. აქ მაცდევინებთ, განა?!

პირველი მეომარი. მეფის ასულო, ჩვენი სიცოცხლე თქვენ ხელთ არის... მაგრამ თქვენს ბრძანებას ვერ ავასრულებთ... ესეც არ იყოს, ჩვენ არ უნდა მოგვმართოთ მაგ ბრძანებით...

სალომე (ახალგაზრდა სირიელს უყურებს) ა!

იროდიას ფარეში. ოჰ, რა მოხდება! უბედურება აუცილებელია, დარწმუნებული ვარ!

სალომე. (ახალგაზრდა სირიელს მიუახლოვდება) თქვენ აასრულებთ, არა ნარაბოტე? აასრულებთ ჩემს თხოვნას, არა? ყოველთვის თქვენი მოწყალე ვიყავ... ხომ ამისრულებთ ამ თხოვნას? მარტოდენ დანახვა მინდა იმ უცნაურ წინასწარმეტყველისა. ბევრ რასმე ამბობენ იმაზე. ბევრჯელ თვით მმართველისაგანაც გამიგონია იმის შესახებ. მმართველს ეშინიან, ვგონებ, იმისი. დარწმუნებული ვარ, ეშინიან. ან იქნება, თქვენც, თქვენც გეშინიანთ, ნარაბოტე?!

ახალგ. სირიელი მე მისი არ მეშინიან, მეფის ასულო! მე არაფრისა არ მეშინიან. მაგრამ მმართველმა სასტიკად აკრძალა იმ კის სახურავის ახდა!

სალომე. ჩემი გულისთვის დაარღვიეთ ეგ ბრძანება, ნარაბოტე, და როცა ხვალ ქალაქის კარებთან,—იქ, სადაც კერპებს ჰყიდიან,—ტახტრევნით გამატარებენ, თქვენთვის პატარა ყვავილს, პატარა მწვანე ყვავილს გადმოვიწვრი ძირს.

ახალგაზ. სირიელი. მეფის ასულო, არ შემოდლიან, არ შემოდლიან!

სალომე. (დამიჯივით) ჩემი გულისთვის შესძელით, ნარაბოტე! თქვენც იცით, რომ ამ თხოვნას შეასრულებთ. და ხვალ, როდესაც ტახტრევნით გამატარებენ ხილზე, იქ, სადაც კერპებს ყიდულობენ, წმინდა ნარმას ჩადრიდან თქვენ შემოგხედავთ, შემოგხედავთ, ნარაბოტე! შეიძლება, გაგიღიმოთ კიდევ! შემომხედეთ, ნარაბოტე! მიყურეთ პირდაპირ! თქვენც კარგად იცით, რომ ჩემ თხოვნას აასრულებთ! ხომ იცით? არა? მე, მე ეს კარგად, ვიცი!..

ახალგ. სირიელი. (შესაშე შემაჩრთ ანაშნებს ხეჯით) ამოიყვანეთ წინასწარმეტყველი! მეფის ასულს სალომეს სურს მისი ნახვა!

სალომე. ა!

იროდიას ფარეში. ოჰ, რა უცნაური სანახავია მთვარე!

თითქო მკვდრის ხელი იყოს და სუდარის გადაფარებას
ჰლაპობდეს!

ახალგ. სირიელი. მეტად უცნაური სახე აქვს, თითქო
მეფის პატარა, ქარვის თვალებით შემკული ასულია. თხელი
ნარმის ნისლიდან იღიმება, ვითა პაწია მეფის ასული. (ჭიდან
ამოდას იოქანანნი. სადღამე დასტერდება და უკან დაიხვეს).

იოქანანნი. სად არის იგი, რომლის ბილწი ფილა უკვე
საესეა? სად არის იგი, რომელიც, შევერცხლილ ტანსაცმელში
გამოწყობილი, ოდესმე მთელი ერის წინაშე უნდა მოკვდეს?
უთხარით, მოვიდეს და ისმინოს იმისი ხმა, ვინც უდაბნოში
და მეფეთა სასახლეში ღაღადებდა!..

სალომე. ვისზე ამბობს იგი?

ახალგ. სირიელი. ეგ არავინ იცის, მეფის ასული!

იოქანანნი. სად არის ის ქალი, რომელმაც--დაინახა რა
კედელზე დახატული ვაჟკაცთა სახე, ფერადებით ნახატი სა-
ხე ქალდეველთა, თავის გულის თქმას აპყვა და ქალდეველ-
თა ქვეყანაში ელჩები გაგზავნა?

სალომე. დედაჩემზე ამბობს მაგას?

ახალგ. სირიელი. ოჰ—არა, მეფის ასული!

სალომე. დიახ, დედაჩემზე!

იოქანანნი. სად არის ის დიაცი, რომელიც დაჰნებდა
ასურელთა თემო აკრულს და ფერად ხოირიანს სარდლებს?
სად არის ის დიაცი, რომელიც მაღალ ტანიან, მეწამულ
ტილოში გახვეულ, ოქროს ფარებიან და ვერცხლის მუზა-
რადიან ეგვიპტელ ქაბუკებს დაჰნებდა? უთხარით, აღსდგეს
თავის უნამუსობის სარცელიდან, სისხლ-არეულობის სარცე-
ლიდან და ისმინოს იმისი ხმა, რომელმაც გზა გაჰკაფა მაც-
ხოვრისათვის! შეინანიოს თავისი შეცდომანი! და თუ არა-
სოდეს არ შეინანიებს და კვლავ სიბილწეში დარჩება, მაინც
უთხარით, აქ მოვიდეს, ვინაიდან ღმერთს უკვე ხელთ უპ-
ყრია თავისი რისხვა!

სალომე. საშინელია, საშინელი!..

ახალგაზ. სირიელი. ნუ დარჩებით, მეფის ასული!
გემუდარებით!..

სალომე. საშინელებაა მისი თვალები! თითქო ტიროსის
ხალიჩაზე ამომწვარი შავი ადგილებია! თითქო ბნელი გამოქვა-
ბული იყოს, რომელშიაც ვეშაპნი სცხოვრობენ, ეგვიპტეს
ბნელი ქვაბები, სადაც ვეშაპნი თავს აფარებენ... თითქო
მოჩვენებული მთავარისაგან შერხეული შავი ზღვის ზედაპი-
რია... თქვენ ფიქრობთ, ისევე ილაპარაკებს?

ახალგ. სირიელი. აქ ნუ დარჩებით, მეფის ასული!
გემუდარებით, ნუ დარჩებით!

სალომე. რა რიგ გამხდარია! სპილოს ძვლისაგან ჩამო-
ქანდაკებულსა ჰგავს... თითქო ვერცხლის ქანდაკებააო.
დარწმუნებული ვარ, ისიც ისევე უმანკოა, როგორც თვით
მთვარე... იგი ვერცხლის სხივსა ჰგავს! მისი სხეული ცივი
უნდა იყოს, ვით სპილოს ძვალი... მინდა ახლოდან ვუმზი-
რო...

ახალგ. სირიელი. ნუ, ნუ, მეფის ასული!

სალომე. მსურს, ახლოდან ვუყურებდე მას!

ახალგ. სირიელი. ასული მეფისაო!?

იოქანანნი. ვინ არის ის ასული, რომელიც მე მიყუ-
რებს? ნუ მიყურებს, მე არ მინდა! რად მიყურებს თავის
ოქროს წამწამებით დაფარულის ოქროს თვალებით? მე არ
ვიცნობ იმას! არ მინდა მაგისი გაგება... უთხარით, წავიდეს!
მასთან არა მსურს მე ლაპარაკი!..

სალომე. მე ვარ სალომე, ქალი იროდიასი, ურიასტა-
ნის მეფის ასული!

იოქანანნი. შორს ჩემგან, ასული ბაბილონისაგ! ნუ
მეკარები ახლოს ღვთისაგან რჩეულს! დედა შენმა აავსო მი-
წა თავის სიმრუშის ღვინით... მისი ცოდვების სიღიადემ

ღმერთს მიალწია!

სალომე. სთქვი კიდევ, იოქანან! შენი ხმა მათრობს!

ახალგ. სირიელი. მეფის ასული! ასული მეფისაო!

სალომე. ოჰ, სთქვი კიდევ, სთქვი კიდევ იოქანან!
მიუთხარი, რა ვქნა?

იოქანანნი. ახლო ნუ მოხვალ, დიაცი სოდომისაო!
ჩადრი მოიხვიე სახეზე, თავზე ნაცარი დაიყარე და უდაბნო-
ში ეძიე ძე კაცისა!

სალომე. ვინ არის ის, ძე კაცისა? ისიც ისევე მშვე-
ნიერია, როგორც შენ, იოქანან?

იოქანანნი. შორს, შორს ჩემგან! სასახლიდან სიკვდი-
ლის ფრთების ფრთხილი მესმის!

ახალგ. სირიელი. მეფის ასული, გვედრებით, დაბ-
რუნდით!

იოქანანნი. ანგელოზო ღვთისაო, აქ რად მოსულხარ
შენი მახვილით? ვის დაეძებ ამ უწმინდურს სასახლეში? ჯერ
არ მოსულა მისი აღსასრულის დღე, რომელიც ვერცხლის
ტანისამოსით უნდა მოკვდეს...

სალომე. იოქანან!

იოქანანნი. ვინ ლაპარაკობს?

სალომე. იოქანან, თავდავიწყებით მიყვარს შენი ტა-
ნი! შენტანი ისევე თეთრია, როგორც ზამბახი კორდისა, რო-
ლიც მთიბველს ჯერ არ გაუთიბავს. შენი ტანი თეთრია,
როგორც თოვლი, მთის წვერზე რომ ჰქვეს, — თეთრია იმ
თოვლისავით, რომელიც ურიასტანის მთებზე ძვეს და ჯერ
ლანქერად არ მოვარდნილა. თვით არაბისტანის დედოფლის
ყვავილიც ისე თეთრი არ არის, როგორც შენი ტანი. არც
ვარდი არაბისტანის დედოფლისა, არცა ფოთოლზე მსრბო-
ლი დილის რიჟრაჟის კვალი და არც მთვარძს წიაღი, რო-
მელშიაც იგი განისვენებს ხლომე, — არარა არის მთელ
სამყაროზე ისეთი თეთრი, როგორც შენი ტანია... ხელი
შემახებინე შენს ტანსა!

იოქანანნი. შორს, დიაცი ბაბილონისაგ! ქალისაგან
მოველინა ქვეყნიერებას ბოროტება! ნუ მელაპარაკები, არ
გისმენ! მე მხოლოდ ღვთის სიტყვა მესმის...

სალომე. შენი ტანი საზიზღარია! იგი კეთროვანის
სხეულია! იგი თეთრად გალესილს კედელსა ჰგავს, რომელ-
ზედაც იქედნა უხოხია, — თეთრ კედელს, რომელშიაც
მორიელებს დაუბუნდიათ. იგი თეთრი სავანეა სხვა და სხვა
შემადრწუნებელ ნივთიერებათა. საშინელია, შემზარავია
შენი ტანი! მე მიყვარს შენი თმები, იოქანან! შენი თმები
ყურძნის მტევანია. ედომიტელსა სამეფოში აყვავებულ, ედე-
მის ვაზზე ძირს დახრილს შავ ყურძნის მტევნებსა ჰგავს
შენი თმები! შენი თმები ლიბანის ნაძვია—ღიღი ნაძვია,
რომელიც უჩრდლავს ლომებს და ავაზაკთ, როცა ისინი
დღის სინათლეს გაურბიან. გრძელი, ბნელი ღამეები, —
ღამეები, როდესაც მთვარე არ იჭვრიტება და ვარსკვლავებიც
ჰკრთებიან, — ეს ღამეები საკმაოდ შავი არ არის! ტყეში
გამეფებული სიჩუმეც ისე შავი არ არის! არა არის სამ-
ყაროზე ისე შავი, როგორც შენი თმა... ხელი შემახებინე
შენს თმას.

იოქანანნი. იქით, დიაცი სოდომისაგ! ნუ შემეხები!
წაუბილწავი უნდა იყოს ღვთის ტაძარი!

(შემდეგი იქნება)

პავლე დადვადე.

